შრომითი ხელშეკრულება № 4

სოფ. ჩუმლაყი „5 მარტი 2012 წ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩუმლაყის საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის ელენა ტატიაშვილის სახით (შემდგომში - დამსაქმებელი) ერთის მხრივ და მეორეს მხრივ სიმონ ოქრუაშვილი, (შემდგომში - დასაქმებული) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შრომითი ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება) არეგულირებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წარმოშობილ შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს.

2. ხელშეკრულება ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას.

3. ხელშეკრულება დადებულია მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებით დამსაქმებელი ქირაობს ფიზიკურ პირს, საკუთარი ტრანსპორტით სოფ. ყიტაანის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის ჩუმლაყის საჯარო სკოლაში. დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო კეთილსინდისიერად და ჯეროვნად, ხოლო დამსაქმებელი უხდის დასაქმებულს შეთანხმებულ შრომის ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოსთვის.

მუხლი 3. ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები

1. დამსაქმებელი ვალდებულია:

1.1. დასაქმებულს შეუქმნას მუშაობისათვის აუცილებელი პირობები.

1.2. ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07%.

1.4. დროულად გადაუხადოს დასაქმებულს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური.

1.6. კონტროლი გაუწიოს დასაქმებულის მიერ გაწეული სამუშაოს შესრულებას.

2. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებული უზრუნველყოს:

2.1. დროულად გასცეს საწვავის ტალონი და არ შეაფერხოს ტრანსპორტის მოძრაობა საწვავის უქონლობის გამო.

2.2. ყოველი თვის 25 რიცხვისთვის ჩაურიცხოს ხელფასი პლასტიკურ ბარათზე.

3. დასაქმებული ვალდებულია:

3.1.მოახდინოს სასწავლო დღეში მოსწავლეთა ტრანსპორტირება საკუთარი ტრანსპორტით სოფელ ყიტაანიდან ჩუმლაყის საჯარო სკოლაში დილით 9^{00} სთ–მდე, შუადღით 3^{30} სთ–დან მოახდინოს მოსწავლეთა გადაყვანა ჩუმლაყის საჯარო სკოლიდან სოფელ ყიტაანში.

3.2. ტრანსპორტის დაზიანების შემთხვევაში ვალდებულია თვითონ უზრუნველყოს სხვა ტრანსპორტით მოსწავლეთა ტრანსპორტირება და საკუთარი ტრანსპორტის დაზიანების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით შეკეთება. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელფასი და საწვავი მასზე არ გაიცემა.

მუხლი 5. შრომის ანაზღაურების პირობები

1. დასაქმებულს მიეცემა ყოველთვიურად შრომის ანაზღაურება 250 (ორასორმოცდაათი) ლარი და 200(ორასი) ლიტრი საწვავის ტალონი

2. შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ. ყოველი კალენდარული თვის 25 რიცხვის შემდეგ. ანაზღაურების გაცემა მოხდება თანამშრომლის პირად საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

3. შრომის ანაზღაურების გაცემის ადგილია ქალაქი გურჯაანი.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობის წესი

1. შრომითი ხელშეკრულების მხარეები პასუხისმგებელნი არიან ერთმანეთის წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებაზე და შეუსრულებლობით წარმოშობილ ზიანზე.

2. მხარეთა პასუხისმგებლობის სახეები და ოდენობა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით, მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2012 წლის 20 ივნისამდე.

2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

3. წინამდებარე ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

4. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 8. სხვა პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წინამდებარე